

აუტენტიფიკაციის/ავტორიზაციის პროცედურა

დიჯიტალის მეშვეობით


ავტორიზაცია

შეიყვანეთ თქვენი მონაცემები და დიჯიტალის კოდი

მომხმარებელი:

პაროლი:


დიჯიტალის კოდი:




- 1) აკრიფეთ თქვენი მომხმარებლის სახელი (ფინანსთა სამინისტროს სისტემებში მომხმარებლის სახელად ითვლება თქვენი პირადი ნომერი);
- 2) აკრიფეთ პაროლი;
- 3) დააგენერირეთ ერთჯერადი კოდი თქვენი დიჯიტალის მეშვეობით (დააჭირეთ ღილაკს დიჯიტალის კორპუსზე; ეკრანზე აისახება რიცხვების რვა ან ცხრანიშნა კომბინაცია);
- 4) 30 წამის განმავლობაში შეიტანეთ დაგენერირებული კოდი შესაბამის ველში. დაგვიანების შემთხვევაში კოდს გაუვა ვადა და მოგიწევთ პროცედურის განმეორება;
- 5) დააჭირეთ ღილაკს „შემდეგ“;
- 6) წარმატების შემთხვევაში გადახვალთ სისტემების კატალოგში, სადაც ასახული იქნება თქვენთვის ხელმისაწვდომი აპლიკაციები;
- 7) შეცდომის შემთხვევაში გვერდის ქვედა ნაწილში აისახება შესაბამისი შეტყობინება;
- 8) გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სისტემაში შესასვლელად საჭიროა წინასწარ რეგისტრაციის გავლა საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტში;
- 9) გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ დიჯიტალის არასწორი კოდის მრავალჯერადი აკრიფვის შემთხვევაში, დიჯიტალს დაიბლოკება. დიჯიტალის ბლოკის მოხსნა

შეუძლია მარტო საფინანსო-ანალიტიკური სამსახური საოპერაციო დეპარტამენტს (511);

სმარტ-ბარათის მეშვეობით



- 1) დარწმუნდით, რომ სრულდება ყველა წინაპირობა, რომელიც აღწერილია ამ დოკუმენტის „თავსებადობა / პრერეკვიზიტები“ და „დრაივერების ინსტალაცია“ სექციებში;
- 2) მოათავსეთ სმარტ-ბარათი ქარდ-რიდერში და დააჭირეთ ლილავს „შემდეგი“;
- 3) ეკრანზე უნდა აისახოს სმარტ-ბარათის შერჩევის დიალოგი:




მიაქციეთ ყურადღება ველ „Issuer“-ს.

- თუ ქარდ-რიდერში მოთავსებულია ფინანსთა სამინისტროს კორპორატიული ბარათი, აირჩიეთ „mfg-FAS-ISSUING-CA“
- თუ ქარდ-რიდერში მოთავსებულია ელექტრონული პირადობის მოწმობა, აირჩიეთ „GEO Authentication CA“

ორივე შემთხვევაში დიალოგის ზედა სტრიქონში უნდა ჩანდეს თქვენი სახელი/გვარი ლათინურად.

- 4) სასურველი ბარათის არჩევის (მონიშვნის) შემდგომ, დააჭირეთ ღილაკს „OK“. მეორე პუნქტის შეუსრულობლობის შემთხვევაში (ბარათი არ არის განთავსებული ქარდ-რიდერში), ეკრანზე აისახება შემდეგი დიალოგი:




ამ ეტაპზე თქვენ მაინც გეძლევათ სმარტ-ბარათის ქარდ-რიდერში განთავსების საშუალება, რის შემდეგ უნდა დააჭიროთ ღილაკს „OK“;

- 5) შეიყვანეთ ბარათის „პინ-კოდი“ შემდეგ დიალოგში და დააჭირეთ ღილაკს „OK“

ავტორიზაცია

მოათავსეთ სმარტ-ბარათი ქარდ-რიდერში და დააჭირეთ ლილავს „შემდეგი“



პირველად შედიხართ? X

↓ [გაეცანით ინსტრუქციას](#)
[ჩამოვიკითხოთ დრავირზე](#)

! პორტალი წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს საკუთრებას. არასანქცირებული შეღწევა ან შეღწევის მცდელობა გამოიწვევს სამოქალაქო და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

გთხოვთ გაითვალისწინოთ რომ მრავალჯერადი არასწორი პინის შეყვანის შემთხვევაში ბარათი დაიბლოკება. ბლოკის მოხსნა შესაძლებელი იქნება მხოლოდ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტის ჩარევით;

- 10) წარმატების შემთხვევაში გადახვალთ სისტემების კატალოგში, სადაც ასახული იქნება თქვენთვის ხელმისაწვდომი აპლიკაციები. სასურველ სისტემაში გადასვლისთვის დააჭირეთ შესაბამის „ლოგოს“. ამორჩეული აპლიკაცია გაიხსენება ახალ გვერდზე იმ შემთხვევაში, თუ მონიშნულია შესაბამისი ოპცია დიალოგის მარჯვენა მხარეს;

სერვისის არჩევა



სახელმწიფო საბინის ელექტრონული მომსახურების სისტემა

[eTreasury - მხარჯავების პორტალი](#)

ახალი გვერდი
 

სახელმწიფო ბიუჯეტი

[eBudget - მხარჯავების პორტალი](#)



სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტები

[eGLE - მხარჯავების პორტალი](#)



სახელმწიფო ვალის და საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემა

[eDMS - ვალის მართვის სისტემა](#)

[eTEST - ელექტრონული საბიჯეტო სისტემა](#)

! პორტალი წარმოადგენს უინანსო სამინისტროს საკუთრებას. არასანქცირებული შეღწევა ან შეღწევის მცდელობა გამოიწვევს სამოქალაქო და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

11) შეცდომის შემთხვევაში მოხდება გადამისამართება შემდეგ გვერდზე:

შეცდომა

ავტორიზაცია სმარტ-ბარათის მეშვეობით დასრულდა შეცდომით.
403.7

[დახმარება](#)

[მთავარი გვერდი](#)

! პორტალი წარმოადგენს უინანსო სამინისტროს საკუთრებას. არასანქცირებული შეღწევა ან შეღწევის მცდელობა გამოიწვევს სამოქალაქო და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

12) გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ პირველ პუნქტში ნახსენები პირობების შეუსრულობლობა გამოიწვევს შეცდომის გვერდის ასახვას. ასევე გასათვალისწინებელია, რომ მე-3 , მე-4 და მე-5 ნაბიჯზე „Cancel” ლილაკის დაჭერა

ასევე გამოიწვევს აღნიშნული გვერდის ასახვას.

- 13) გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ შეცდომაზე გასვლის შემდგომ ახალი აუტენტიფიკაციის მცდელობამდე აუცილებლად უნდა დახუროთ ვებ-ბრაუზერის ყველა გახსნილი ფანჯარა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მუდმივად მიიღებთ აქამდე დაფიქსირებულ შეცდომას. რაც ინტერნეტ-ბრაუზერის არქიტექტურით არის განპირობებული.